9/1/2026

ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის თეორიულ-კლინიკური სწავლების 4 კომპონენტიანი პროგრამა

2026-2027 წელი

Eg
ქართული
ფსიქოანალიტიკური სივრცე
Espace Géorgien pour la psychanalyse

ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის თეორიულ-კლინიკური სწავლების 4 კომპონენტიანი პროგრამა

2026-2027 სასწავლო წელი

სარჩევი

პროგრამის მიზნები....2
სასწავლო პროგრამის მხარდაჭერა, პარტნიორები და კვალიფიკაცია....4
პროგრამაში მონაწილეობის ღირებულება/რას მიიღებს მონაწილე?....7
რას მიიღებს მონაწილე, ასოცირებული წევრი ან წევრი? სხვაგვარად რაში მდგომარეობს ასოციაციის მიზანი და ფუნქცია?....7
ვინ უძღვება სასწავლო თუ ფორმაციის აქტივობებს ასოციაციის ფარგლებში?....9
ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის 2026–2027 წლის პროგრამა....13
პროგრამის შინაარსი....13
სამკითხველო ჯგუფები:....23
კონფერენცია და კონგრესი....24
მთარგმნელობითი სამუშაო და ქართული ფსიქოანალიტიკური ჟურნალი....24
დაზუსტება ფსიქოანალიტიკური ფორმაციის შესახებ....25
პროგრამაზე რეგისტრაცია....27

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია ყოველი სასწავლო წელი მიუძღვნას ფსიქოანალიტიკური თეორიისა და პრაქტიკის ძირითად კონცეპტუალური სისტემას, რომელიც გულისხმობს, როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვე ავტორებს. მომდევნო 3 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ზ.ფროიდის სადამფუძნებლო ტექსტების ანალიზსა და განხილვას, ისევე როგორც მ.კლაინის, დ.ვინიკოტისა და ჟ. ლაკანის შემოქმედებასა და შრომებს.

პროგრამის მონაწილეები:

ასოციაციის ყოველწლიური პროგრამა არ წარმოადგენს ფსიქოანალიტიკური ფორმაციის პროგრამას. ე.ი. პროგრამაში ჩართული მონაწილე არ არის აუცილებელი ამავე დროს ფსიქოანალიტიკურ ფორმაციას გადიოდეს ამ სიტყვის მკაცრი გაგებით. მონაწილე შეიძლება იყოს ფსიქოანალიტიკური ფორმაციის პროცესში ქართული, ფრანგული თუ მასთან დაკავშირებული ასოციაციების ფარგლებში, ისევე როგორც იყოს ფსიქოანალიზითა და ფსიქოპათოლოგიით დაინტერესებული კლინიკური ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, ან ზოგადად ფსიქოანალიტიკური თეორიითა და პრაქტიკით დაინტერესებული სუბიექტი.

შენიშვნა #1: ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის თითქმის ყველა აქტივობა, გარდა ჯგუფის კლინიკური სუპერვიზიებისა და სამკითხველო ჯგუფისა, ასოციაციის დაარსების დღიდან (2011 წ. იხ. სადამფუძნებლო ტექსტი https://www.espacegeorgien.com/aboutus) იყო საჯარო და ღია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ასოციაცია კვლავ ინარჩუნებს ამ პოზიციას, რომელიც მისი მიზნებისა და ღირებულებების ნაწილია და რჩება ღია ფსიქოანალიზით დაინტერესებული ყველა პირისთვის** (იხ. ასოციაციის პრეამბულა https://www.espacegeorgien.com/preambule). პროგრამის ფარგლებში მონაწილეობის აუცილებელი პირობა შეეხება მხოლოდ ყოველწლიურ საწევრო გადასახადს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ასოციაციის არსებობისათვის.

შენიშვნა #2: ასოციაციის ყოველი ახალი სასწავლო წელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ხოლო 4-5 წელი მიჩნეულია საორიენტაციო დროთ, რომლის განმავლობაშიც ფსიქოანალიტიკური თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი პრინციპები უნდა იქნეს მოცული სემინარებზე, სამკითხველო ჯგუფებსა და კონფერენციებზე. სწავლების თითოეული წელი დამოუკიდებელ და ავტონომიურ მთლიანობას წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ მონაწილეს შეეძლება პროგრამის ფარგლებში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ჩართვა ან, 2, 3, 4... წლის განმავლობაში მასში აქტიური მონაწილეობა.

შენიშვნა #3:

A. ასოციაცია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე წარმოადგენს უცხოელი და ქართველი კოლეგების, ისევე როგორც სტუდენტების, ფსიქოთერაპევტების, კლინიკური ფსიქოლოგების ან ანალიტიკური ფორმაციის პროცესში მყოფი წევრების გამოცდილებისა და დისკურსების გადაკვეთის წერტილს, გზაჯვარედინს, რაც ასოციაციას იცავს ყოველგვარი იზოლაციონიზმის, რადიკალიზმის ან ნარცისიზაციისაგან, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი გაერთიანებისა და სოციო-პროფესიული კავშირების მტერს.

B. ასოციაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებთან, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პირდაპირ თანამშრომლობას.

C. ასოციაციის ადმინისტრაციული ორგანო სტრუქტურირებულია, მაგრამ თავად ასოციაცია ეწინააღმდეგება იერარქიზაციის ყოველგვარ მცდელობას, რაც მას იცავს იდეალიზაციისა და მეტრის დისკურსისაგან, სხვაგვარად მასის ფსიქოლოგიისაგან (ზ.ფროიდი). პროფესიული და კოლეგიალური თანასწორობა და საერთო კონცეპტუალური სისტემისა და პრაქტიკის

ირგვლივ გაერთიანება წარმოადგენს ასოციაციის მთავარ მამოძრავებელ დინამიურ ძალას და ეთიკას, რომელსაც ის ეფუძნება.

აქედან გამომდინარე, ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე, როგორც ყველა ფსიქოანალიტიკური ასოციაცია ემიჯნება საუნივერსიტეტო დისკურსს, რომელიც გულისხმობს მოსწავლისა და მასწავლებლის, მეტრის პოზიციებს. სწორედ ამიტომ ასოციაციის ყოველწლიურ პროგრამაში მათაც შეეძლებათ სემინარის ან სხვა, რომელიმე აქტივობის განხორციელება, ვინც თავად მონაწილეობს პროგრამის ფარგლებში სტატუსით „მონაწილე". მაგალითად, მონაწილეებს შეუძლიათ წარადგინონ მოხსენება საკუთარი სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომის შესახებ, ისევე როგორც საკუთარი პირვანდელი/ძირითადი პროფესიის ფარგლებში (ფილოსოფია, სოციოლოგია, ისტორია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია და ა.შ..) წაიკითხონ სემინარი ან დააფუძნონ სამუშაო ჯგუფი ავტორების ან მათი ტექსტების ირგვლივ, გაუზიარონ კოლეგებს საკუთარი კლინიკური გამოცდილება.

სასწავლო პროგრამის მხარდაჭერა, პარტნიორები და კვალიფიკაცია

ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის აქტივობები იყოფა 2 განყოფილებად:

1. **ფსიქოანალიტიკური ფორმაციის განყოფილება**. აღნიშნული განყოფილება გულისხმობს პირადი ანალიზის, კლინიკური სუპერვიზიისა და თეორიული სწავლების უზრუნველყოფას ფრანგული და მასთან დაკავშირებული აღიარებული ლაკანიანური ასოციაციების ფარგლებში. ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს კანდიდატის *ფსიქოანალიტიკურ* ფორმაციას (*იხ. ბმული ფორმაციის შესახებ https://www.espacegeorgien.com/formation*).

2. **უწყვეტი სწავლების ღია ფსიქოანალიტიკურ სივრცე**. ასოციაციის აქტივობათა მეორე, უფრო მასშტაბური და ღია განყოფილებაა კლინიკური, თეორიული და სასწავლო აქტივობების წარმოება ფართო პუბლიკისთვის. ასოციაციის ამ განყოფილებას ვუწოდებთ უწყვეტი სწავლების ღია ფსიქოანალიტიკურ სივრცე, რომელიც განკუთვნილია კლინიკური ფსიქოლოგებისათვის, განსხვავებული თეორიული ორიენტაციის ფსიქოთერაპევტებისათვის, სტუდენტებისათვის კლინიკური ფსიქოლოგიის ფაკულტეტებიდან, თბილისის მწვანე სახლის ფსიქოლოგებისა სტაჟიორებისათვის, მაგრამ აგრეთვე ფსიქოანალიზით დაინტერესებული ყველა პირისთვის, განსაკუთრებით სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელთათვის. ცხადია ამ განყოფილებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მათ სწავლებაში, ვინც უკვე ფსიქოანალიტიკური ფორმაციის პროცესში იმყოფება.

ასოციაციის ზემოთ აღწერილი ორივე განყოფილების აქტივობების ხარისხისა და კვალიფიკაციის გარანტორი ქართულ ასოციაციასთან და ქართველ კოლეგებთან ერთად არის ასოციაცია ***Espace Analytique de Paris – association de formation psychanalytique et de recherche freudien*** (*თარგ.* ანალიტიკური სივრცე - ფსიქოანალიტიკური ფორმაციისა და ფროიდიანული კვლევის ასოციაცია). *იხ. ინფ. ფრანგული ასოციაციის ისტორიის, აქტივობებისა და მიზნების ბმულზე https://www.espacegeorgien.com/partners*.

ქართული ასოციაცია თავიდან დაფუძნდა, როგორც Espace Analytique - ის განვითარებადი ჯგუფი საქართველოში, ხოლო 2018 წელს გახდა ამ ასოციაციის საერთაშორისო კოლეჯის წევრი.

გარდა ასოციაცია Espace Analytique-ის, ქართული ასოციაციის ფარგლებში განხორციელებული ღია და საჯარო, ისევე როგორც ფორმაციის პროგრამების ხარისხისა და კვალიფიკაციის გარანტორები არიან ფრანგული ასოციაციის საერთაშორისო კოლეჯის წევრი ასოციაციები: Espace analytique (საფრანგეთი), Espace analytique de Belgique (ბელგია), Espaço brasileiro de estudos psicanalíticos (ბრაზილია), Espace analytique de Bulgarie (ბულგარეთი), Espace géorgien pour la psychanalyse (საქართველო),Irish psychoanalytic space (Association of psychoanalytic training and freudian research (ირლანდია), Espace analytique du Liban (ლიბანი), Le cercle psychanalytique (მაროკო).

იხ. ფრანგული ასოციაცია Espace Analytique - ის ბროშურის 63-ე გვერდი https://www.espace-analytique.org/brochure_2026-2027.pdf

გარდა ამისა, ასოციაცია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე მჭიდროდ თანამშრომლობს, როგორც ქართულ უნივერსიტეტებთან (წარსულში აქტიურად თანამშრომლობდა ილიას სახ. უნივერსიტეტთან), განსაკუთრებით ამჟამად თსუ-სთან და კავკასიის უნივერსიტეტთან, ასევე პარიზის უნივერსიტეტთან (Université de Paris_Cité ; ყოფილი დენი დიდროს უნივერსიტეტი).

განსაკუთრებით ღირებულია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის თანამშრომლობა თბილისის მწვანე სახლთან, რომელიც წარმოადგენს კლინიკური და თეორიული მუშაობის ადგილს ბავშვთა ფსიქოანალიზისა და ფსიქოდინამიკური თერაპიის საქმეში. მწვანე სახლის თანამშრომლები 2006 წლიდან აქტიურად არიან ჩართული ფსიქოანალიტიკურ ფორმაციაში, ისევე როგორც მწვანე სახლისა და ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სემინარებსა თუ სუპერვიზიის ჯგუფებში. მწვანე სახლს მრავალი წელია სუპერვიზიასა და თეორიულ-კლინიკურ მხარდაჭერას უწევენ მაღალი კლასის ფსიქოანალიტიკოსები და პედოფსიქიატრები საფრანგეთიდან, რომელთა უმრავლესობა ჟაკ ლაკანის, ფრანსუაზ დოლტოს, მოდ მანონის, დიდიე ანზიუს და სხვა თეორეტიკოსთა პირდაპირი მოსწავლეები ან ანალიზანტები არიან (*იხ. ინფორმაცია მწვანე სახლის შესახებ https://mtsvanesakhli.com/*).

ასოციაცია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის ერთ-ერთი მხარდამჭერი მისი დაარსების დღიდან არის თბილისის ფრანგული ინსტიტუტი საქართველოში და საფრანგეთის საელჩო საქართველოში. ფრანგული ინსტიტუტი და საუნივერსიტეტო თანამშრომლობის განყოფილება არაერთხელ დახმარებია ასოციაციას ფინანსურად, რათა კოლეგების მოწვევა შეგვძლებოდა საფრანგეთიდან. ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის პარტნიორების შესახებ ინფორმაცია *იხ. აქ https://www.espacegeorgien.com/partners*.

2011 წლიდან დღემდე ასოციაციამ განახორციელა 490-ზე მეტი საჯარო და დახურული აქტივობა, რომელიც გულისხმობდა: სემინარებს, სამკითხველო ჯგუფებს, კონფერენციებს...

პროგრამაში მონაწილეობის ღირებულება/რას მიიღებს მონაწილე?

ასოციაცია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე არაკომერციული გაერთიანებაა, რომელიც ღიაა ყველასათვის ვისაც სურს დაიწყოს ფსიქოანალიტიკური ფორმაციის რთული და ხანგრძლივი პროცესი, ან დააფუძნოს საკუთარი კლინიკური, კვლევითი ან თეორიული პრაქტიკა, ისევე როგორც ინტელექტუალური შრომა კვლევის ფსიქოანალიტიკურ მეთოდს.

ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, ასოციაციის საწევროს გადახდის პირობებში ასოციაცია გასცემს მონაწილეობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც აღიარებს და შეიცნობს მონაწილის მიერ დასწრების ინდივიდუალურ გრაფიკს. ე.ი. იმისათვის, რომ წევრმა, ასოცირებულმა წევრმა, ან თავისუფალმა მონაწილემ მიიღოს მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობა არ იქნება საჭირო *დასწრება* ამ სიტყვის საუნივერსიტეტო გაგებით. მონაწილეს შეეძლება დასწრება ასოციაციის როგორც სრულ, ყოველწლიურ თეორიულ-კლინიკურ პროგრამაზე, ასევე შეეძლება ნაწილობრივ მიიღოს მონაწილეობა მისთვის საინტერესო აქტივობებში და წლის ბოლოს მიიღოს დასწრებისა და მონაწილეობის დამადასტურებელი ინდივიდუალური დოკუმენტი.

აღნიშნული დოკუმენტი მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით გაიცემა, რომ მონაწილეს ხელი შეუწყოს დასაქმებაში, აგრეთვე დაადასტუროს ასოციაციის ფარგლებში მის მიერ გაწეული შრომა. ამავე დროს, საჭიროების შემთხვევაში დაადასტუროს გავლილი თეორიული (სემინარები, სამკითხველო ჯგუფები, კონფერენციები და სხვა...) და პრაქტიკული (სუპერვიზია და კლინიკური ჯგუფები. არსებობის შემთხვევაში პირადი ანალიზი) სწავლების საათების რაოდენობა.

რას მიიღებს მონაწილე, ასოცირებული წევრი ან წევრი? სხვაგვარად რაში მდგომარეობს ასოციაციის მიზანი და ფუნქცია?

- ✔ ფსიქოანალიტიკური, ისევე როგორც ფსიქოთერაპიული კლინიკური პრაქტიკა ინსტიტუციისა თუ კაბინეტის ფარგლებში შეუძლებელია აწარმოოს სუბიექტმა იზოლირებულად სკოლის, ინსტიტუციისა ან ასოციაციისაგან. ასოციაცია ფსიქოანალიტიკური თუ ფსიქოანალიზით შთაგონებული კლინიკური პრაქტიკის დროს ასრულებს სიმბოლური მესამის ფუნქციას, რომელსაც ეყრდნობა პრაქტიკოსი, რომელიც ასოციაციის ფარგლებში ქმნის სოციალურ კავშირებს და ხდება ანალიტიკური დისკურსის ნაწილი.
- ✔ გარდა ამისა, პრაქტიკოსი, ანალიტიკოსი ან ფორმაციაში მყოფი სუბიექტი, ისევე როგორც კლინიკური პრაქტიკის მქონე ფსიქოთერაპევტი კოლეგა იმ ფაქტით, რომ ის მუშაობს ასოციაციაში ტექსტებზე, ესწრება სემინარებს ან თავად უძღვება მათ, აქვეყნებს პუბლიკაციებს ასოციაციისა და სკოლის სახელით, მონაწილეობას იღებს სუპერვიზიისა და კლინიკური განხილვების ჯგუფებში, უზიარებს კოლეგებს გამოცდილებას და თავადაც ხდება სხვისი გამოცდილების მიმღები, ხდება ნაწილი არა მხოლოდ ცოდნისა და გამოცდილების, არამედ ეთიკის, რომელსაც იცავს სკოლა და ასოციაცია, როგორც ამ სკოლის რეპრეზენტაცია. აქედან გამომდინარე, ასოციაცია ამავე დროს ხდება ასოცირებული კოლეგის ან წევრის კვალიფიკაციის გარანტორი.

- ✔ ასოციაცია ასრულებს სიმბოლური ჩარჩოს ფუნქციას, რომლის ნაწილიც ნომინაციისა და აღიარების სიმბოლური აქტით არის ასოციაციის წევრი თუ ასოცირებული წევრი, ან ფორმაციაში მყოფი ანალიტიკოსი.
- ✔ ასოციაცია წევრისათვის წარმოადგენს კლინიკური თა თეორიული გამოცდილების გაცვლის ადგილს, ისევე როგორც ცოდნის მიღების უწყვეტ წყაროს, ვინაიდან ასოციაცია ერთგულია არა საუნივერსიტეტო, გაწერილი პროგრამის, არამედ მუდმივი სამუშაო პროცესის სემინარებზე თუ სხვა აქტივობების დროს.
- ✔ ასოციაციაში ყოფნა, განსხვავებით უნივერსიტეტის ან ინსტიტუტისაგან არ არის ლიმიტირებული სასწავლო პროგრამით (მაგ. საბაკალავრო, სამაგისტრო, ან სადოქტორო პროგრამით, რომლის დასრულების შემდეგაც სტუდენტი/მოსწავლე ხშირ შემთხვევაში ტოვებს ინსტიტუციას), ასოციაციის წევრობა ნიშნავს იყო ასოცირებული სკოლასთან, ნიშნავს პროფესიული მიკუთვნებულობისა და პროფესიული გაერთიანების ნაწილად ყოფნას, რომელსაც ამოძრავებს მხოლოდ პროფესიული და არა კომერციული მიზნები.
- ✔ ასოციაციის წევრობა, ასოცირებულ წევრობა ნიშნავს (თანაბრად ყველასთვის, ვინც პასუხობს ეთიკის, ასევე სკოლის ძირითად თეორიულ და კლინიკურ ორიენტირებს) მოხსენებების, სემინარების წაკითხვის, კონფერენციებში მონაწილეობის მიღებისა და პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობას, როგორც ასოციაციის ჟურნალში, ასევე სხვა კვალიფიციურ ჟურნალებში ასოციაციის სახელით. სწორედ ასოციაციის სახელი (ამ სიტყვის სიმბოლური გაგებით), ე.ი. ასოციაციასთან მიკუთვნებულობა წარმოადგენს აუცილებელ საფუძველს წარსდგეს კოლეგა, როგორც ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის წევრი, ასოცირებული წევრი როგორც პაციენტების, ასევე ფსიქოლოგიასთან, ფსიქოანალიზთან, ფსიქოპათოლოგიასთან დაკავშირებული ინსტიტუციების წინაშე.
- ✔ ქართულ ფსიქოანალიტიკურ სივრცესთან ასოცირება ნიშნავს ასოცირებას ფრანგულ ლაკანიანურ ასოციაციებთან განუყოფელ კავშირსა და აფილიაციას, ისევე როგორც იმ ასოციაციებთან, რომლებიც წარმოადგენენ რეგიონალურ თუ საერთაშორისო ქსელს აღნიშნული დამფუძნებელი ინსტიტუციებისა. აფილიაციის აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ კოლეგა ანალიტიკოსი, ან ფორმაციაში მყოფი სუბიექტი სხვა, არალაკანიანურ, მაგრამ კვალიფიციურ ფსიქოანალიტიკურ ასოციაციებთან თეორიული თუ კლინიკური მუშაობის დროს წარსდგება, როგორც ასოცირებული/აფილირებული ლაკანიანურ ასოციაციასთან. ასოციაცია ფუნქციონირებს, როგორც წარმდგენი ფორმაციაში მყოფი, ისევე როგორც ფორმირებული სუბიექტისა, წარმდგენი ე.წ. სხვის (Autre) წინაშე.

შენიშვნა #1: კომერციული დაწესებულება, აღწერილი მიკუთვნებულობასა და პროფესიულ, სოციალურ კავშირებში წევრად ყოფნას ვერ უზრუნველყოფს. ფსიქოანალიტიკოსისთვის, ისევე როგორც ფორმაციაში მყოფი კანდიდატისთვის უნივერსიტეტთან აფილიაცია საკმარისი არ არის. ფსიქოანალიტიკოსი, ფსიქოანალიტიკური პრაქტიკის მქონე იმდენად არის სიმბოლურ რეგისტრში აღიარებული, რამდენადაც ის არის აფილირებული ასოციაციასთან, რაც პრაქტიკისა და ნომინაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

შენიშვნა #2: საწევროს გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელმისაწვდომი არ იქნება სუპერვიზიის ჯგუფები, ფუნდამენტური კონცეპტებისადმი მიძღვნილი ჯგუფები, ქართველი კოლეგების სემინარები, სამკითხველო ჯგუფები და არ გაიცემა მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობა განვლილი აქტივობების აღწერილობით. ზოგიერთი უცხოელი კოლეგის სემინარი კვლავ დარჩება საჯარო და ღია თავისუფალი დამსწრეებისათვის უნივერსიტეტებსა თუ ასოციაციის ფარგლებში დასწრებულ თუ დისტანციურად გამართულ ღონისძიებებზე.

ვინ უძღვება სასწავლო თუ ფორმაციის აქტივობებს ასოციაციის ფარგლებში?

ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის ფარგლებში სემინარებს, კონფერენციებს, სუპერვიზიებსა თუ სხვა ფსიქოანალიზისა და ფსიქოპათოლოგიისადმი მიძღვნილ აქტივობებს უძღვებიან, როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში მცხოვრები და მოღვაწე კოლეგები. მომხსენებელთა და ფორმატორთა სია და სახელები ყოველ წელს იცვლება, თუმცა ზოგიერთი უცხოელი, ისევე როგორც ქართველი კოლეგა მრავალი წლის განმავლობაში უწყვეტად კითხულობს სემინარებს/სასემინარო კურსებს ასოციაციაში, უძღვება სუპერვიზიებს და მართავს კონფერენციებს. მომხსენებელთა ნაწილი შეიძლება იყოს ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის წევრი, ასოცირებული წევრი, საპატიო წევრი ან არ იყოს (*იხ. ინფ. წევრებისა და ასოცირებული წევრების შესახებ https://www.espacegeorgien.com/members).*

ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის ყოველწლიური პროგრამის ფარგლებში აქტივობებს უძღვებიან:

1. ფსიქოანალიტიკოსები ფრანგული ასოციაცია Espace Analytique-დან, რომელთა ნაწილი არის ჟაკ ლაკანის პირველი, ან მეორე თაობის მოსწავლე, ისევე როგორც ფრანსუაზ დოლტოს, მოდ მანონისა და სხვა ფსიქოანალიზში მნიშვნელოვან ფიგურებთან ფორმირებული კოლეგები. მათი დიდი ნაწილი პროფესიით ფსიქიატრი, პედოფსიქიატრი, ფილოსოფოსი, ან ფსიქოლოგია, ისევე როგორც სხვა რომელიმე ახლოს მდგომი დისციპლინის წარმომადგენელი.
   მომხსენებელთა ნაწილი უნივერსიტეტის, განსაკუთრებით დიდროს სახელობის (ამჟამად Université de Paris_Cité) პროფესორია. ზოგიერთი მათგანი საპატიო ან ემერიტუს პროფესორიც.
2. კოლეგათა ნაწილს, რომლებსაც საკუთარი წვლილი სემინარებითა თუ სხვა აქტივობებით შეაქვთ ქართული ასოციაციის განვითარებაში წარმოადგენენ Espace Analytique-ის საერთაშორისო ქსელის წევრ ასოციაციათა დამფუძნებლებს თუ წევრებს სხვადასხვა ქვეყნიდან (იხ. ზემოთ Espace Analytique-ის საერთაშორისო ქსელის შესახებ). მათი დიდი ნაწილი ფორმირებულია ფრანგულ თუ სხვა ასოციაციებში, ისევე როგორც ასოციაციებში, რომლებმაც ფსიქოანალიტიკოსის დამოუკიდებლად ფორმირების უფლება და რესურსი მოიპოვეს.
3. კოლეგათა მესამე ნაწილს განეკუთვნებიან ქართველი თუ საქართველოში მცხოვრები კოლეგები. მათი დიდი ნაწილი ქართული ასოციაციის წევრი, დამფუძნებელი ან ასოცირებული წევრია. ზოგიერთი მათგანი ერთდროულად სხვა ფსიქოანალიტიკური ასოციაციის წევრიც შეიძლება იყოს საქართველოში თუ უცხოეთში. კოლეგათა ამ ნაწილს, რომელიც ამავე დროს განასახიერებს ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის ადგილობრივ და შიდა ბირთვს, ან

დასრულებული აქვს ფსიქოანალიტიკური ფორმაცია, ან იმყოფება ფორმაციის პროცესში ქართულ და ფრანგულ, ასევე ბულგარეთის ან სხვა ქვეყნის წევრ ასოციაციათა ფარგლებში. ზოგიერთი მათგანი ფორმაციის საწყის ეტაპზე იმყოფება, ზოგიერთი კი შუა გზაზე, ან დასასრულს უახლოვდება. იმისათვის, რომ კოლეგამ ასოციაციის ფარგლებში სემინარი წაიკითხოს არ არის აუცილებელი, რომ ის ფსიქოანალიტიკური ფორმაციის პროცესში იყოს. კლინიკური ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები, კოლეგები უნივერსიტეტიდან, უნივერსიტეტის პროფესორები სარგებლობენ სრული თავისუფლებით შეიტანონ ასოციაციის ცხოვრებაში საკუთარი წვლილი სემინარებისა თუ სხვა აქტივობების განხორციელებით. ასოციაციის ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით, კოლეგები თავად სთავაზობენ ასოციაციას, როგორც სემინარების შინაარსსა და ხანგრძლივობას, ასევე სასწავლო-საგანმანათლებლო აქტივობათა კატეგორიას (კონფერენცია, სუპერვიზია, სამუშაო თუ სამკითხველო ჯგუფები, ტექსტების თარგმნა, სტატიის დაწერა და გამოქვეყნების მოთხოვნა ასოციაციის ჟურნალში...)

4. კოლეგათა მეოთხე ნაწილი წარმოადგენს მათ, ვისაც ასოციაცია მოიწვევს ერთი ან რამდენიმე სემინარის წაკითხვის მიზნით. მოწვეული კოლეგა შეიძლება იყოს სხვა ფსიქოანალიტიკური ასოციაციის, მაგალითად სხვა ლაკანიანური ან საერთაშორისო ასოციაციის წევრი ანალიტიკოსი, ისევე როგორც უნივერსიტეტის პროფესორი, მასწავლებელი, ან კოლეგა, მდიდარი კლინიკური გამოცდილებით. ხშირ შემთხვევაში ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე იწვევს კოლეგებს ფილოსოფიის, სოციოლოგიის ან სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტებიდანაც.

შენიშვნა: უცხოელ კოლეგათა სემინარები ფრანგული ასოციაციიდან (Espace Analytique), ან ლექციები, რომლებსაც წაიკითხავენ პროგრამულად ან პროგრამის ფარგლებს გარეთ, დარჩება საჯარო და ღია ყველასთვის ვისაც სურს მონაწილეობა სტატუსის გარეშე. უცხოელი კოლეგების სემინარების უმრავლესობის ინკლუზია მოხდება პროგრამის ფარგლებში, მაგრამ შევინარჩუნებთ საჯაროობას ასოციაციის რეპუტაციული მიზნების, ისევე როგორც უცხოელი კოლეგებისადმი კოლეგიალური დამოკიდებულების გამო. თუმცა ასოციაციის აქტივობათა ნაწილის საჯაროობის შენარჩუნების მთავარი მოტივია ფსიქოანალიზის გავრცელებისა და ფსიქოანალიტიკური დისკურსის დაფუძნების სურვილი, რომელიც იმთავითვე დაედო საფუძვლად ქართული ასოციაციის შექმნას.

ისინი ვინც საჯაროდ და უფასოდ დაესწრებიან ღია სემინარებს, ე.ი. ასოციაციის აქტივობათა ნაწილს ყოველწლიური საწევრო გადასახადის გადახდის გარეშე, ვერ დაესწრებიან პროგრამით გათვალისწინებულ სხვა შიდა აქტივობებს და ვერ მიიღებენ მონაწილეობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საწევრო გადასახადის ოდენობა და გადახდის პირობები:

2026-2027 წლისათვის ასოციაცია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის წლიური საწევრო გადასახადი რჩება იგივე და ასოცირებულ წევრთათვის შეადგენს 240 ლარს წელიწადში, ხოლო სრულ წევრთათვის 260 ლარს.

ასოციაციის საწევროს გადახდა მონაწილეს, ასოცირებულ წევრს ან წევრს უფლებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ყველა აქტივობაში, თავადაც დაგეგმოს ან შესთავაზოს ასოციაციას აქტივობები და წლის ბოლოს მიიღოს მონაწილეობის დამადასტურებელი ორენოვანი დოკუმენტი, რომელიც როგორც ქართული, ასევე ფრანგული ასოციაციის მიერ იქნება დამოწმებული.

მიღებული შემოსავალი ასოციაციამ შეიძლება დახარჯოს უცხოელ კოლეგათა მგზავრობაში, დაბინავებასა და გამასპინძლებაში, აგრეთვე ტექნიკურ მატერიალური ბაზის უზრუნველყოფაში (ზუმის, ელექტრონული ფოსტის, ასოციაციის ვებ გვერდის, ტექნიკური და საკომუნიკაციო, აგრეთვე IT და ბუღალტერის მომსახურებისა ხარჯების უზრუნველყოფისათვის), აგრეთვე მომხსენებელთა მხოლოდ ნაწილისათვის ჰონორარის გადახდაში, ბიბლიოთეკის შევსების მიზნით ლიტერატურის ყიდვაში.

შენიშვნა: ასოციაციის ***პროგრამაში*** მონაწილეობის მიღება შეუძლია მასაც ვინც ასოციაციის არც ასოცირებული წევრია და არც წევრი, მაგრამ პროგრამაზე დარეგისტრირებულია, როგორც *პროგრამის მონაწილე.*

ასოციაციის წევრს თუ ასოცირებულ წევრს გადასახადის 2 ნაწილად გადახდის შესაძლებლობა აქვს:

პირველი ნაწილის გადახდის პერიოდია 15-30 სექტემბერი

მეორე ნაწილის გადახდის პერიოდია 8-25 იანვარი

გამონაკლისი შემთხვევები და შეღავათები:

1. გადახდის დამაბრკოლებელი პირადი თუ სხვა განსაკუთრებული მიზეზების არსებობის შემთხვევაში, თავისუფალმა მონაწილემ, წევრმა, ან ასოცირებულმა წევრმა უნდა მისწეროს დასაბუთებული წერილი ასოციაციის ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს გადახდის გადავადება ან მისი ანულირება. მოთხოვნას განიხილავს ასოციაციის ადმინისტრაცია და გადაწყვეტილებას წერილობით აცნობებს განმცხადებელს.

გადასახადი უნდა ჩაირიცხოს ასოციაცია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: GE03TB7273936070100001. დანიშნულებაში ეთითება "საწევრო გადასახადი", სახელი და გვარი.

ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის 2026-2027 წლის პროგრამა

ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის 2024-2025 წლის აქტივობათა უმრავლესობა გაერთიანდება სწავლების 4 კომპონენტიანი ჩარჩოს ფარგლებში. უცხოელი თუ ქართველი კოლეგების მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობების დიდი უმრავლესობა ქვემოთ მოცემული 4 კომპონენტიდან რომელიმე კომპონენტის ფარგლებში

განხორციელდება. პროგრამის მოცემული 4 კომპონენტიანი ჩარჩო ასოციაციის ფარგლებში 5 წლის განმავლობაში იფუნქციონირებს.

კომპონენტი I : ფსიქოანალიზის ფუნდამენტური კონცეპტები – ზიგმუნდ ფროიდის შრომების მიხედვით.

კომპონენტი II : ფსიქოანალიტიკური კვლევის მეთოდი და ფსიქოანალიტიკური ტექნიკა ფროიდთან და ფროიდის შემდეგ.

კომპონენტი III : ფსიქოანალიტიკური ფსიქოპათოლოგია და კლინიკა – სტრუქტურალისტური მიდგომა მოდერნულობის კონტექსტის გათვალისწინებით: **ნევროზი, ფსიქოზი, პერვერსია და მოსაზღვრე მდგომარეობები.**

კომპონენტი IV : ჟაკ ლაკანის წვლილი ფსიქოანალიზში – ძირითადი თეორიული და კლინიკური აღმოჩენები.

პროგრამის შინაარსი



პროგრამის განრიგი

სექტემბერი

15 სექტემბერი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია"ფრანსუაზ დოლტო „დომინიკის შემთხვევა“
წარმდგენი: ანკო პირველი

17 სექტემბერი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: მაია მინაშვილი

21 სექტემბერი, 20:00 | სემინარი
"მედიკამენტი ტრანსფერში: ფსიქოანალიზისა და ფსიქიატრიის შეხვედრის წერტილი"
მომხსენებელი: მაკა არეშეიძე

24 სექტემბერი, 20:00 | ლიტერატურა და ფსიქოანალიზი
"ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაური და სხვა ნაწარმოებები"
წარმდგენი: სანდრო სულაძე

29 სექტემბერი, 20:00 | სემინარი
"ისტერიული სუბიექტის ტკბობა ლუსიენ ისრაელის მიხედვით"
მომხსენებელი: ანკო პირველი

ოქტომბერი

01 ოქტომბერი, 20:00 | ფსიქოანალიზი და სინემა
ფილმი "The Elephant Man — David Lynch" წარმდგენი: ნუცა გულდედავა

05 ოქტომბერი, 21:00 | სამკითხველო ჯგუფი
„ჟაკ ლაკანის პირველი სემინარები“. სემინარი III „ფსიქოზები“ (1955-1956წ) წარმდგენი: გიგა მამინაშვილი

09 ოქტომბერი, 21:00 | სემინარი
"ტრანსფერის ცნება ფროიდის ტექსტებში (I)" მომხსენებელი: ოლივიე დუვილი

13 ოქტომბერი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია" ფრანსუაზ დოლტო „დომინიკის შემთხვევა“
წარმდგენი: ცირა გელიტაშვილი

21 ოქტომბერი, 20:00 | სემინარი
"ფსიქოანალიტიკური მეთოდი" მომხსენებელი: საბა დვალიძე

22 ოქტომბერი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: მაია მინაშვილი

27 ოქტომბერი, 21:00 | სუპერვიზია - კატრინ ვანიე
კლინიკური პრაქტიკის მქონე კოლეგებისთვის

29 ოქტომბერი, 20:00 | ლიტერატურა და ფსიქოანალიზი
"ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებები“ წარმდგენი: გიორგი ჭანტურია

ოქტომბრის კონფერენცია

"ფსიქოზის მართვა: რას გვასწავლის უნგრული სკოლა"
მომხსენებელი: ოლივიე დუვილი

"ბავშვებთან ფსიქოანალიტიკური ტექნიკის ფორმები და თავისებურებები: პირველადი გასაუბრებები, მშობლებთან მუშაობა და ინტერპრეტაცია"
მომხსენებელი: კატრინ სალადენი

ნოემბერი

03 ნოემბერი, 20:00 | სემინარი
"ანალიტიკური აქტის ცნება ჟაკ ლაკანთან" მომხსენებელი: მაია კერვალიშვილი

09 ნოემბერი, 21:00 | სამკითხველო ჯგუფი
„ჟაკ ლაკანის პირველი სემინარები". სემინარი III „ფსიქოზები" (1955-1956წ)
წარმდგენი: გიგა მამინაშვილი

10 ნოემბერი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია" ფრანსუაზ დოლტო „დომინიკის შემთხვევა"
წარმდგენი: ქეთი კერესელიძე

13 ნოემბერი, 20:00 | სემინარი
"ფსიქოთერაპიის შესახებ" მომხსენებელი: საბა დვალიძე

16 ნოემბერი, 20:00 | სემინარი
"ტრანსფერული სიყვარული" მომხსენებელი: დიდიე ლორუ

26 ნოემბერი, 20:00 |სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: საბა შოშიტაშვილი

28 ნოემბერი, 20:00 | კარტელი"ტოტემი და ტაბუ"
წარმდგენი: ბექა მაისურაძე, მარიამ გოგიჩაიშვილი, ნუცა გაგუა, გვანცა ბარბაქაძე

დეკემბერი

01 დეკემბერი, 20:00 | სემინარი

ჰელენ დოიჩის "ქალის ფსიქოლოგიის" სემინარების ციკლი "პრეპუბერტატი, ადრეული პუბერტატი"
მომხსენებელი: გვანცა ჩიგოგიძე

03 დეკემბერი, 20:00 | ლიტერატურა და ფსიქოანალიზი
"ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები" წარმდგენი: მაია მინაშვილი

08 დეკემბერი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი

"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია" ფრანსუაზ დოლტო „დომინიკის შემთხვევა"
წარმდგენი: ცირა გელიტაშვილი

09 დეკემბერი, 19:00 | სემინარი

"რემომორაცია, განმეორება და პერლაბორაცია" მომხსენებელი: მიმოზა დიმიტროვა

11 დეკემბერი, 21:00 | სემინარი
"ტრანსფერის ცნება ფროიდის ტექსტებში (II)" მომხსენებელი: ოლივიე დუვილი

14 დეკემბერი, 21:00 | სამკითხველო ჯგუფი
„ჟაკ ლაკანის პირველი სემინარები". სემინარი III „ფსიქოზები" (1955-1956წ)
წარმდგენი: გიგა მამინაშვილი

18 დეკემბერი, 20:00 | სემინარი
"კონსტრუქცია ფსიქოანალიზში" მომხსენებელი: ელენე ბარამიძე

21 დეკემბერი, 20:00 | სემინარი

ჰელენ დოიჩის "ქალის ფსიქოლოგიის" სემინარების ციკლი "პუბერტატი და მენსტრუაცია"
წარმდგენი: გვანცა ჩიგოგიძე

23 დეკემბერი, 20:00 | სემინარი

"ტრანსფერი და კონტრტრანსფერი: ბრიტანული სკოლა" მომხსენებელი: გვანცა ბარბაქაძე

24 დეკემბერი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: გიორგი ჭანტურია

დეკემბრის საუნივერსიტეტო კონფერენცია

კონფერენცია მიეძღვნება იმ ნაშრომების პრეზენტაციას, რომლებიც ასოციაციის წევრებმა წლის განმავლობაში თავიანთ კარტელებში მოამზადეს.

იანვარი

12 იანვარი, 20:00 |სამკითხველო ჯგუფი
"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია" ფრანსუაზ დოლტო „დომინიკის შემთხვევა"
წარმდგენი: ანკო პირველი

14 იანვარი, 20:00 | ლიტერატურა და ფსიქოანალიზი
"ვეფხისტყაოსანი"-შოთა რუსთაველი წარმდგენი: საბა შოშიტაშვილი

15 იანვარი, 20:00 | კარტელი "იდენტიფიკაცია და ნევროტული სტრუქტურა"
წარმდგენი: ნატალია გოგოლაძე, გიორგი შერმაზნაშვილი, გურანდა რომანაძე, ცირა გელიტაშვილი, მარი კიკალიშვილი, თეონა ნაჭყებია

18 იანვარი, 21:00 | სამკითხველო ჯგუფი
„ჟაკ ლაკანის პირველი სემინარები". სემინარი IV „ობიექტთან ურთიერთობა" (1956-1957წ)
წარმდგენი: გიგა მამინაშვილი

21 იანვარი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: საბა დვალიძე

22 იანვარი, 20:00 | სემინარი
ჰელენ დოიჩის "ქალის ფსიქოლოგიის" სემინარების ციკლი "ეროტიული ქალი, ქალური მაზოხიზმი და ქალური პასიურობა" მომხსენებელი: გვანცა ჩიგოგიძე

24 იანვარი, 20:00 | კარტელი "პერვერსია"
წარმდგენი: ანკო პირველი, მარიამ გოგრიჭიანი, მაია მინაშვილი, გიორგი ჭანტურია, ცირა გელიტაშვილი, გვანცა ბარბაქაძე, ელენე ბარამიძე

25 იანვარი, 20:00 | სემინარი
ჰელენ დოიჩის "ქალის ფსიქოლოგიის" სემინარების ციკლი "აქტიური ქალი- მასკულინობის კომპლექსი, ჰომოსექსუალურობა; გარემოს გავლენა" მომხსენებელი: გვანცა ჩიგოგიძე

28 იანვარი, 20:00 | სემინარი
"ტრანსფერი და კონტრ-ტრანსფერი" მომხსენებელი: ანკო პირველი

თებერვალი

01 თებერვალი, 21:00 | სემინარი
"ინტერპრეტაცია და ჰომოფონია" მომხსენებელი: დიდიე ლორუ

03 თებერვალი 20:00 | კარტელი
"მოსაზღვრე მდგომარეობები"
წარმდგენი: მაკა არეშიძე, გიორგი კახნიაშვილი, დაჩი დაიური, ივა დარბუაშვილი, ნუცა გულდედავა

06 თებერვალი, 17:00 | შაბათის სემინარები
"ნარცისიზმის კონცეპტი ფსიქოანალიზში" (რეგისტრაციით)
წარმდგენი: გიგა მანინაშვილი

09 თებერვალი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია" ფრანსუაზ დოლტო „დომინიკის შემთხვევა“
წარმდგენი: ანკო პირველი, ქეთი კერესელიძე

11 თებერვალი, 20:00 | სემინარი
"ტრანსფერი - სუბიექტი, რომლის მიღმაც მოიაზრებენ ცოდნას" (პირველი ნაწილი)
მომხსენებელი: გიგა მამინაშვილი

15 თებერვალი, 20:00 | სემინარი
"ანალიტიკური სეთინგი" მომხსენებელი: ანკო პირველი

18 თებერვალი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: საბა დვალიძე

22 თებერვალი, 21:00 | სამკითხველო ჯგუფი
„ჟაკ ლაკანის პირველი სემინარები“. სემინარი IV „ობიექტთან ურთიერთობა“ (1956-1957წ)
წარმდგენი: გიგა მამინაშვილი

23 თებერვალი, 20:00 | სემინარი
"სუბიექტისა და სტრუქტურის საკითხი ფილოსოფიისა და ფსიქოანალიზის კვეთაზე - შესავალი"
მომხსენებელი: ანა ბერია

24 თებერვალი, 20:00 | სემინარი
"ტრანსფერი და კონტრტრანსფერი ფსიქოტიკ პაციენტებთან"
მომხსენებელი: გვანცა ბარბაქაძე

25 თებერვალი, 20:00 | ლიტერატურა და ფსიქოანალიზი
"ჰამლეტი და მეფე ლირი"– შექსპირი წარმდგენი: საბა დვალიძე

? თებერვალი, 20:00 | სემინარი
"ნახატის, ძერწვისა და თამაშის ტექნიკის გამოყენება ბავშვთა ფსიქოანალიტიკურ ფსიქოთერაპიაში"
მომხსენებელი: კატრინ სალადენი

მარტი

01 მარტი, 20:00 | სემინარი
"ტრანსფერი – სუბიექტი, რომლის მიღმაც მოიაზრებენ ცოდნას" (მეორე ნაწილი)
მომხსენებელი: გიგა მამინაშვილი

04 მარტი, 20:00 | კარტელი "მოსაზღვრე მდგომარეობები"
წარმდგენი: მაკა არეშიძე, გიორგი კახნიაშვილი, დაჩი დაიური, ივა დარბუაშვილი, ნუცა გულდედავა

06 მარტი, 17:00 | შაბათის სემინარები
"ნარცისიზმის კონცეპტი ფსიქოანალიზში" (რეგისტრაციით)
წარმდგენი: გიგა მანინაშვილი

09 მარტი, 19:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია" დონალდ ვ. ვინიკოტი — „ფსიქოანალიზი და დანაშაულის გრძნობა“ (1958) წარმდგენი: ნუცა გულდედავა

13 მარტი, 20:00 | სემინარი
"სიზმარი და მისი ინტერპრეტაცია ფსიქოანალიტიკურ პრაქტიკაში"
მომხსენებელი: ჟიზელ შაბუდეზი

14 მარტი, 20:00 | სემინარი
"სიზმარი და მისი ინტერპრეტაცია ფსიქოანალიტიკურ პრაქტიკაში"
მომხსენებელი: ჟიზელ შაბუდეზი

16 მარტი, 20:00 | სემინარი
"ნეგატიური ტრანსფერი და თერაპევტის პასუხი" მომხსენებელი: სოსო დოლიძე

18 მარტი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: საბა შოშიტაშვილი

22 მარტი, 21:00 | სემინარი
"ფსიქოანალიტიკური აქტის ირგვლივ" მომხსენებელი: ელენე ბარამიძე

25 მარტი, 20:00 | ლიტერატურა და ფსიქოანალიზი
"გალაკტიონ ტაბიძე – რჩეული პოეზია" წარმდგენი: საბა შოშიტაშვილი

27 მარტი, 19:30 | სემინარი
"ანალიზი სასრული და უსასრულო" მომხსენებელი: ნატალია გოგოლაძე

29 მარტი, 21:00 | სამკითხველო ჯგუფი
„ჟაკ ლაკანის პირველი სემინარები". სემინარი IV „ობიექტთან ურთიერთობა" (1956-1957წ) წარმდგენი: გიგა მამინაშვილი

30 მარტი, 20:00 | სემინარი
"სუბიექტისა და სტრუქტურის საკითხი ფილოსოფიისა და ფსიქოანალიზის კვეთაზე - ლაკანი" მომხსენებელი: ანა ბერია

აპრილი

03 აპრილი, 17:00 | შაბათის სემინარები
"ნარცისიზმის კონცეპტი ფსიქოანალიზში" (რეგისტრაციით)
წარმდგენი: გიგა მანინაშვილი

09 აპრილი, 20:00 | სემინარი
"სასიყვარულო ტრანსფერის შესახებ" მომხსენებელი: ნუცა გულდედავა

14 აპრილი, 20:00 | სემინარი
"სიზმრების ინტერპრეტაციის გამოყენება ფსიქოანალიზში"
მომხსენებელი: მაია მინაშვილი

16 აპრილი, 20:00 | სემინარი
"რემემორაცია, განმეორება და პერლაბორაცია" მომხსენებელი: საბა დვალიძე

27 აპრილი, 21:00 | სემინარი
"სუბიექტისა და სტრუქტურის საკითხი ფილოსოფიისა და ფსიქოანალიზის კვეთაზე - ალთუსერი" მომხსენებელი: ანა ბერია

06 აპრილი, 19:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია" დონალდ ვ. ვინიკოტი — „მანიაკალური დაცვა" (1935) წარმდგენი: გურანდა რომანაძე

12 აპრილი, 20:00 | კარტელი "მოსაზღვრე მდგომარეობები"
წარმდგენი: მაკა არეშიძე, გიორგი კახნიაშვილი, დაჩი დაიური, ივა დარბუაშვილი, ნუცა გულდედავა

15 აპრილი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: საბა დვალიძე

23 აპრილი, 21:00 | სემინარი
"ფსიქოანალიტიკური ტექნიკა ბავშვებთან" მომხსენებელი: კატრინ ვანიე

აპრილის კონფერენცია | Paris 8

ფაბიან ფაინვაქსი
მოხსენებები მიეძღვნება გენდერისა და ფსიქოანალიზის საკითხს.
დომინიკ კორპელე

მოხსენებები მიეძღვნება სიყვარულის საკითხს ფსიქოანალიზში.

მაისი

03 მაისი, 21:00 | სამკითხველო ჯგუფი
„ჟაკ ლაკანის პირველი სემინარები“. სემინარი IV „ობიექტთან ურთიერთობა“ (1956-1957წ)
წარმდგენი: გიგა მამინაშვილი

04 მაისი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია" დონალდ ვ. ვინიკოტი — „დეპრესიული პოზიცია ნორმალურ ემოციურ განვითარებაში“
წარმდგენი: ნინია კრაველიძე

06 მაისი, 20:00 | სემინარი
"რას ეფუძნება ფსიქოანალიტიკური კლინიკა"
მომხსენებელი: კლოდ ნოელ პიკმანი
ადგილზე

07 მაისი, 20:00 | სემინარი
"ლაკანის ობიექტი a — ანალიზის ცენტრალური საკითხი"
მომხსენებელი: კლოდ ნოელ პიკმანი ადგილზე

08 მაისი, 17:00 | შაბათის სემინარები
"ნარცისიზმის კონცეპტი ფსიქოანალიზში" (რეგისტრაციით)
წარმდგენი: გიგა მანინაშვილი

11 მაისი, 20:00 | კარტელი
"ობსესიური ნევროზი"
წარმდგენი: ანკო პირველი, მაია კერვალიშვილი, საბა შოშიტაშვილი, საბა დვალიძე, სანდრო სულაძე

13 მაისი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: საბა შოშიტაშვილი

18 მაისი, 20:00 | კარტელი "ლაკანის პირველი სემინარები"
წარმდგენი: ცირა გელიტაშვილი, მარიტა გორდელაძე, თამარ ამაშუკელი

20 მაისი, 21:00 | სემინარი
"თავდაპირველად იყო ტრანსფერი" მომხსენებელი: ალენ ვანიე

25 მაისი, 20:00 | სემინარი
"სუბიექტისა და სტრუქტურის საკითხი ფილოსოფიისა და ფსიქოანალიზის კვეთაზე - დელიოზი და გატარი" მომხსენებელი: ანა ბერია

27 მაისი, 20:00 | ლიტერატურა და ფსიქოანალიზი
"ნიღბის აღსარება — იუკიო მიშიმა" წარმდგენი: გვანცა ჩიგოგიძე და ანა კორკოტაძე

28 მაისი, 20:00 | კარტელი "პერვერსია"
წარმდგენი: ანკო პირველი, მარიამ გოგრიჭიანი, მაია მინაშვილი, გიორგი ჭანტურია, ცირა გელიტაშვილი, გვანცა ბარბაქაძე, ელენე ბარამიძე

? მაისი, 21:00 | სემინარი
"ანალიტიკური ტექნიკა და მისი კავშირი ანალიტიკოსის ფორმაციასთან"
მომხსენებელი: მარია ოტერო როსი ადგილზე (პირველი ნაწილი)

? მაისი, 21:00 | სემინარი
"ანალიტიკური ტექნიკა და მისი კავშირი ანალიტიკოსის ფორმაციასთან"
მომხსენებელი: მარია ოტერო როსი ადგილზე (მეორე ნაწილი)

ივნისი

01 ივნისი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია" დონალდ ვ. ვინიკოტი — „ხასიათობრივი აშლილობების ფსიქოთერაპია“ (1963) წარმდგენი: გვანცა ბარბაქაძე

07 ივნისი, 21:00 | სამკითხველო ჯგუფი
„ჟაკ ლაკანის პირველი სემინარები“. სემინარი IV „ობიექტთან ურთიერთობა“ (1956-1957წ) წარმდგენი: გიგა მამინაშვილი

15 ივნისი, 20:00 | ლიტერატურა და ფსიქოანალიზი
"პორტნოის სინდრომი - ფილიპ როთი"
წარმდგენი: გვანცა ჩიგოგიძე და ნატო აფციაური

22 ივნისი, 20:00 | კარტელი
"ლაკანის პირველი სემინარები"
წარმდგენი: ცირა გელიტაშვილი, მარიტა გორდელაძე, თამარ ამაშუკელი

29 ივნისი, 20:00 | სემინარი
"სუბიექტისა და სტრუქტურის საკითხი ფილოსოფიისა და ფსიქოანალიზის კვეთაზე - ბატაი"
მომხსენებელი: ანა ბერია

06 ივნისი, 17:00 | შაბათის სემინარები
"ნარცისიზმის კონცეპტი ფსიქოანალიზში" (რეგისტრაციით)
წარმდგენი: გიგა მანინაშვილი

10 ივნისი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: ნატო აფციაური

20 ივნისი, 21:00 | სემინარი
"მკურნალობის წარმართვა და ტრანსფერის მართვა"
მომხსენებელი: ანაიტ დასო ტერ მესროპიანი ადგილზე

21 ივნისი, 21:00 | სემინარი
"გადაუდებელი დახმარება ჰოსტპიტალში, მოთხოვნიდან ახალი შესაძლებლობის გახსნამდე"
მომხსენებელი: ანაიტ დასო ტერ მესროპიანი ადგილზე

ივლისი

01 ივლისი, 17:00 | შაბათის სემინარები
"ნარცისიზმის კონცეპტი ფსიქოანალიზში" (რეგისტრაციით)
წარმდგენი: გიგა მანინაშვილი

08 ივლისი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: სანდრო სულაძე

06 ივლისი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია" რენე შპიცის 1946 წლის ნაშრომი ანაკლიტიკურ დეპრესიაზე, ადრეულ ბავშვობაში
წარმდგენი: ნატალია გოგოლაძე

22 ივლისი, 20:00 | სამკითხველო ჯგუფი
"ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები" წარმდგენი: გვანცა ჩიგოგიძე

ივლისის საზაფხულო სკოლა

ფსიქოანალიზის საზაფხულო სკოლა ინტენსიური პროგრამაა, რომელიც, როგორც წესი, ზაფხულის განმავლობაში იმართება და მოიცავს სემინარებს და სუპერვიზიებს ფსიქოანალიზის ირგვლივ. ამ ტიპის სკოლის მიზანია თეორიული და კლინიკური რეფლექსიის სივრცის შექმნა

ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცის ჯგუფის სუპერვიზია (კატრინ ვანიე/Cathrine Vanier)

- სუპერვიზიის ჯგუფი, რომელსაც უძღვება ქალბატონი კატრინ ვანიე საფრანგეთიდან იკრიბება 5-6 კვირაში ერთხელ. ჯგუფზე ერთი რომელიმე მონაწილე წარადგენს შემთხვევას, რომელსაც სუპერვიზორი მონაწილეებთან და წარმდგენთან ერთად განიხილავს. ქალბატონი ვანიეს სუპერვიზიები გამოირჩევა შეხვედრის მეორე ნაწილში თეორიული და კლინიკური დისკუსიებით, რომელიც სასწავლო და სასემინარო სახესაც სძენს სუპერვიზიის წმინდად კლინიკურ პროცესს.
- სუპერვიზიის ჯგუფებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ასოციაციის წევრებსა და ასოცირებულ წევრებს ინსტიტუციონალური, კერძო თუ სტაჟირების ფარგლებში არსებული კლინიკური პრაქტიკის შემთხვევაში.

შენიშვნა: ასოციაციის ზოგიერთი წევრი და ასოცირებული წევრი, ისევე როგორც ფორმაციის პროცესში მყოფი კოლეგა ჯგუფის სუპერვიზიას აგრეთვე გადის ასოციაცია მწვანე სახლის ფარგლებში. მწვანე სახლის სუპერვიზიის ჯგუფს მრავალი წელია უძღვება ქალბატონი კატრინ სალადენი (Catherine Saladin).

სამკითხველო ჯგუფები:

A. სამკითხველო ჯგუფი „ჟაკ ლაკანის პირველი სემინარები“ (გიგა მამინაშვილი); (*სამკითხველო ჯგუფი იმართება ორშაბათობით, 21:00 საათზე გიორგი ჩიტაიას 17 ნომერში)*

- 2026-2027 წლის განმავლობაში ჯგუფი ჟ. ლაკანის მესამე სემინარს („ფსიქოზები“ 1954-1955) დაუთმობს 3 შეხვედრას, ხოლო 2027 წლიდან დაიწყებს მუშაობას მე-4 სემინარზე „ობიექტთან მიმართება“ (1956-1957წ).

B. სამკითხველო ჯგუფი „ბავშვთა ფსიქოანალიზი და ფსიქოპათოლოგია“ (ანკო პირველი)

- ჯგუფი იკრიბება თვეში ერთხელ, სამშაბათობით 20:00 საათზე მწვანე სახლში. ჯგუფი იმართება, როგორც დისტანციურ (ზუმი) ასევე დასწრებულ რეჟიმში.
- 2026-2027 წელს სამკითხველო ჯგუფის პირველი 6 შეხვედრა დაეთმობა ფრანსუაზ დოლტოს წიგნს “დომინიკის შემთხვევა”

C. სამკითხველო ჯგუფი „ზიგმუნდ ფროიდის ფუნდამენტური შრომები “ (მაია მინაშვილი)

- ჯგუფი იკრიბება თვეში ერთხელ, ხუთშაბატობით 20:00 საათზე მწვანე სახლში, როგორც დისტანციურ (ზუმი) ასევე დასწრებულ რეჟიმში.
- წლევანდელი პროგრამაც მიეძღვნება ზიგუნდ ფროიდის ფუნდამენტური და სადამფუძნებლო ტექსტების წაკითხვასა და ანალიზს

D. სამკითხველო ჯგუფი “ლიტერატურა და ფსიქოანალიზი“ (მაია მინაშვილი)

- ჯგუფლიტერატურა და ფსიქოანალიზი გაიმართება ყოველ მეხუთე კვირის ოთხშაბათს 20:00 საათზე.
- ლიტერატურა და ფსიქოანალიზის სამუშაო ფორმატი იქნება კონკრეტული ერთი საკითხის აღება და მის გარშემო სხვადასხვა ავტორის ნაწარმოების განხილვა ფსიქოანალიტიკურ ჭრილში. წელს სამუშაო თემა არის : სუპერ ეგო და მამის ადგილი.

კონფერენცია და კონგრესი

წელს, ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე გამართავს ოქტომბრის, დეკემბრის და აპრილის თვის კონფერენციებს როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული ფრანგი კოლეგების მონაწილეობით. მაისში და ივნისში ასევე ჩამოვლენ ჩვენი ფრანგი კოლეგები სემინარების წასაკითხად, ხოლო ივლისში გაიმართება საზაფხულო სკოლა მოწვეული კოლეგების მონაწილეობით.

ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე და კულტურა

სამუშაო ჯგუფი „ფსიქოანალიზი და სინემა თანამედროვეობის კლინიკის გააზრებისათვის (ნუცა გულდედავა)

ჯგუფი მიზანი არის ერთის მხრივ, ე.წ. მოდერნულობის კლინიკისა და ფსიქოპათოლოგიის გააზრება თანამედროვე კინოს დახმარებით და მეორეს მხრივ, არსებულ ფსიქოანალიტიკურ თეორიებზე, აგრეთვე კოლეგების კლინიკური გამოცდილებაზე დაყრდნობით ნაჩვენები ფილმების ანალიზი და გარჩევა. ჯგუფი იკრიბება კვარტალში ერთხელ.

მთარგმნელობითი სამუშაო და ქართული ფსიქოანალიტიკური ჟურნალი

2024 წელს ასოციაციამ დააფუძნა ფსიქოანალიტიკური ჟურნალი საერთაშორისო სარედაქციო კომიტეტთან და ფრანგ კოლეგებთან ერთად ასოციაცია Espace Analytique-დან. ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ერთხელ.

ჟურნალის პირველი ნომერი დაიბეჭდება 2024 წლის სექტემბრის თვეში და მიეძღვნება შემდეგ საკითხს: „კრიზისის ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია“.

ჟურნალში ქვეყნდება:

A. ქართველ ავტორთა სტატიები
B. უცხოელ ავტორთა სტატიები (დიდი ნაწილი თარგმნილი ქართულ ენაზე)
C. ფსიქოანალიზის ზოგიერთი კლასიკური ტექსტი, ან ამონარიდი ტექსტიდან
D. ქართველი და უცხოელი კოლეგების კვლევები ფსიქოანალიზის, ფსიქოპათოლოგიის, სოციოლოგიის და სოციალურ მეცნიერებათა სფეროში.

დაზუსტება ფსიქოანალიტიკური ფორმაციის შესახებ.

ფსიქოანალიტიკური ფორმაცია მხოლოდ ასოციაციის ფარგლებშია შესაძლებელი. აღნიშნული პროგრამა არ წარმოადგენს ფსიქოანალიტიკოსის ფორმაციის პროგრამას. ის შეიძლება იყოს როგორც დამატებითი ფაქტორი ფორმაციაში მყოფი კანდიდატისთვის, ისევე როგორც თეორიული და კლინიკური ცოდნის გაღრმავების ადგილი მათთვის ვინც ფსიქოანალიზს შეიძლება ეყრდნობოდეს საკუთარ თერაპიულ თუ კვლევით პრაქტიკაში. რაც შეეხება ფსიქოანალიტიკურ ფორმაციას, ის შედგება სამი კომპონენტისგან (იხილეთ განყოფილება ფსიქოანალიტიკური ფორმაცია (https://www.espacegeorgien.com/formation/)) პირადი ანალიზი, სუპერვიზია და თეორიული სწავლება.

ყველა ასოციაცია საქართველოში თუ სხვაგან რომელიც უზრუნველყოფს ანალიტიკოსის ფორმაციას წარმოადგენს არაკომერციულ იურიდიულ პირს, აქედან გამომდინარე, არც ერთი კომერციული ან სხვა ტიპის სახელმწიფო სასწავლო დაწესებულება (უნივერსიტეტი, აკრედიტებული ინსტიტუტი და ა.შ.) რომელიც არ არის ფსიქოანალიტიკური ასოციაცია არ უზრუნველყოს ფსიქოანალიტიკოსის ფორმაციას. წევრები, რომლებიც ფსიქოანალიტიკურ ფორმაციას გადიან მოცემულ პროგრამებში მონაწილეობით გაიღრმავებენ თეორიულ და კლინიკურ ცოდნას, მაგრამ პროგრამით გაწერილი აქტივობები ვერ ჩაანაცვლებს მათთვის ფორმაციის სამ ძირითად ღერძს: პირად ანალიზს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ სუპერვიზიასა და თეორიულ სწავლებას.

შენიშვნა: ასოციაციის ყოველწლიური პროგრამის ერთ-ერთი მიზანია დააფუძნოს წევრებისა და ასოცირებული წევრებისაგან შემდგარი აქტიური ჯგუფი, რომელთა ნაწილმაც გარკვეული თეორიული და კლინიკური ცოდნის მიღების შემდეგ შესაძლოა გააზრებული გადაწყვეტილება მიიღოს ფსიქოანალიტიკურ ფორმაციასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში მსურველი, რომელიც საკუთარ სურვილს დააფიქსირებს მიმღები კომისიის წინაშე მოწოდებული იქნება დაიწყოს პირადი ანალიზი და ინტენსიურად ჩაერთოს თეორიულ და კლინიკურ აქტივობებში, როგორც ქართული ასევე სხვა ლაკანიანური და არალაკანიანური ასოციაციების ფარგლებში, განსაკუთრებით Espace Analytique-ის ფარგლებში, რომელიც არის ფორმაციისა და კვალიფიკაციის გარანტორი ქართული ასოციაციისათვის.

ფსიქოანალიტიკური ფორმაციის ფასი

ფსიქოანალიტიკოსის ფორმაცია წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოანალიტიკური ასოციაციის ფარგლებში, რომელიც არაკომერციული მიზნების მქონე იურიდიულ პირს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ფსიქოანალიტიკური ფორმაციის ფასი არ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ წლიური საწევრო გადასახადით ასოციაციაში. ის ფაქტი, რომ ასოციაციას, უნივერსიტეტის, ინსტიტუტის, კერძო თუ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებისაგან განსხვავებით, არ გააჩნია სწავლის გადასახადი, სწავლის საფასური ან ტარიფი, არ ნიშნავს იმას, რომ ფსიქოანალიტიკური ფორმაცია არის უფასო, პირიქით. ფსიქოანალიტიკური ფორმაცია დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ დანახარჯებთან:

1. **პირადი ანალიზის საფასური.** პირადი ანალიზი წარმოადგენს ფორმაციის უმთავრეს შემადგენელს, რომელიც ხანგრძლივი პროცესია, ხოლო ფასი განისაზღვრება ანალიტიკოსსა

და პაციენტს შორის მოლაპარაკების საფუძველზე. ფრანგული სკოლა ერთგულია ვარიაბილური ფასის. რთულია დღეს საქართველოში პირადი ანალიზის ფასის განსაზღვრა, რომელიც პირობითად შეიძლება ითქვას, რომ მერყეობს 50-დან 120, ზოგიერთ შემთხვევაში 150 ლარამდეც კი, თუმცა დაზუსტებით ფასის განსაზღვრა საქართველოში, ან ევროპაში ძალიან რთულია.

2. **ინდივიდუალური და ჯგუფური სუპერვიზია.** სუპერვიზია, ისევე როგორც პირადი ანალიზი ფორმაციის განუყოფელი ნაწილია და აგრეთვე ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. სუპერვიზიის თანხა ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) შეიძლება აღემატებოდეს პირადი ანალიზის, ერთი სეანსის ღირებულებას. ამ შემთხვევაშიც სუპერვიზიის თანხას განსაზღვრავს სუპერვიზორი კანდიდატთან ერთად. როგორც წესი, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის მრავალწლიანმა პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ კოლეგები ევროპიდან ხშირ შემთხვევაში ქართველ კანდიდატებს, ისევე როგორც კანდიდატებს ქვეყნებიდან, რომელთა ეკონომიკაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკას, ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერ უფრო ნაკლებს ახდევინებენ ანალიტიკურ სეანსებსა თუ სუპერვიზიაში ვიდრე მაგალითად საფრანგეთში მცხოვრებ კოლეგას.
3. **თეორიული სწავლება.** თეორიული სწავლების ფასი ხშირ შემთხვევაში უდრის იმ თანხას, რომელსაც ფორმაციაში მყოფი სუბიექტი საწევრო გადასახადის სახით იხდის ასოციაციაში ყოველწლიურად. გარდა ამისა, ჩვენი უცხოელი კოლეგები ბევრ აქტივობას დისტანციურად თუ ადგილზე, უფასოდ სთავაზობენ ქართველ კოლეგებს. მაგალითად, საფრანგეთში ფსიქოანალიტიკურ კონფერენციათა, კოლოქვიუმთა მხოლოდ ნაწილი შეიძლება იყოს ფასიანი (ღონისძიებათა უმრავლესობა უფასოა). ამჟამად 2 დღიან კონფერენციაში მონაწილეობის ფასი პარიზში 10-დან 40 ევრომდე მერყეობს, თუმცა ხშირ შემთხვევაში სტუდენტებისა და ასოციაციის წევრების/ასოცირებული წევრებისათვის დასწრება უფასოა.

პროგრამაზე რეგისტრაცია

პროგრამაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ ბმულს: https://www.espacegeorgien.com/program

პროგრამას აქვს როგორც ვებ ასევე აპლიკაციის მხარდაჭერა. აპლიკაციის გადმოსაწერად ეწვიეთ შემდეგ ბმულს

პროგრამას ასევე გააჩნია ჯგუფი, რომელიც განკუთვნილია მასალების გასაცნობად, სიახლეების მისაღებად, სემინარებზე დასარეგისტრირებლად და აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის. გასაწევრიანებლად ეწვიეთ ბმულს:

https://www.espacegeorgien.com/group/stsavlebis-4-komponentiani-programis-jgupi/about

კონტაქტი

+995 599 409 875

თბილისი, ჩიტაიას ქ. 17

info@espacegeorgien.com

espacegeorgien.com